ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19/01172472635-17

"28." 09 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ყიფშიძის ჭუჩა №9-ში (საკ. კოდი №01.14.14.003.073) მდებარე მშენებლობადამთავრებული მეოთხე კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3362549 30.06.2017წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3504940 30.08.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ყიფშიძის ჭუჩა №9-ში (საკ. კოდი №01.14.14.003.073) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„8-1" ფასადზე: რელიეფის დონის ცვლილების გამო „8-7" მონაკვეთში პანდუსის დასაწყისთან შექმნილია საფეხური, ხოლო „3-2" მონაკვეთში გაზრდილია პანდუსის სიგრძე და 6%-იანი ქანობის ნაცვლად ფიქსირდება 7%. გარე კიბის საფეხურებში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +0.00 ნიშნულზე, „8-7" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიმაღლე. „6-5" მონაკვეთში მოწყობილია სარეკლამო აბრა. +4.90 ნიშნულზე, „5-4" მონაკვეთში აივანზე მოწყობილია გასაშლელი ტენტი. +41.20 ნიშნულზ „8-6" და „4-2" მონაკვეთში ამოშენებულია სამი ვიტრაჟი, კედლებში ფიქსირდება ნიშები, ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია კედლები და გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე. „3-2" მონაკვეთში ყრუ ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კარი, ხოლო ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. შეცვლილია აღნიშნული ვიტრაჟების ვიზუალი. „4-2" მონაკვეთში კაპიტალურ მოაჯირზე დამატებულია ლითონის სახელური. +44.50 ნიშნულზე, ლიფტის სამანქანოებზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ფანჯრები.

„დ-ა" ფასადზე: „ბ-ა" მონაკვეთში მოსაპირკეთებელია კედლის დაზიანებული ნაწილები. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია კედლის მოპირკეთების ფაქტურა. „გ-ბ" მონაკვეთში მოსაპირკეთებელია ვიტრაჟის ძირი, ხოლო „ბ-ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელი. „ბ-ბ" ღერძთან საპროექტო წყალშემკრებ მილს მონაცვლებული აქვს ადგილი.

„1-8" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები. „3-4" და „6-7" მონაკვეთში ფიქსირდება ნიშები და შესამინია სადარბაზოს კარები. „4-6" მონაკვეთში შემცირებულია ბაქნის სიგანე. „1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელი. +21.40 ნიშნულზე, „7-7" ღერძის გარეთ კედელში ფიქსირდება საჰაეროები, შეცვლილია სახურავის ფორმა და შეცვლილია სამერცხლეს მდებარეობა.

„ა-დ" ფასადზე: ცოკოლის დონეზე, „ბ[11]-გ[11]" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა. „ბ[11]-გ[11]" მონაკვეთში მოკლებულია გარე კიბის საფეხურები. ვიტრაჟზე განთავსებულია სარეკლამო ფირები. აღნიშნულ მონაკვეთში, +4.90 ნიშნულიდან ზევით ვიტრაჟებს შორის ნაწილობრივ შესაღებია მილკვადრატები.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია გათბობა-კონდიცირების განთავსების ადგილები.

შენობაში გაზრდილია ლიფტის შახტების გაბარიტი. -3.35 ნიშნულზე, შენობის გარე პერიმეტრზე 0.4მ სიგანის სამშენებლო ბლოკის ნაცვლად მოწყობილია 0.2მ სიგანის მონოლითური კედლები. „ე-დ" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა, დამატებით მოწყობილია რიგელი, ხოლო „7-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ერთი მონოლითური კედელი. „6-7" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე და „8-8" ღერძთან დასასრულებელია წყალშემკრები ცხაურის მოწყობა. 7-7" ღერძზე დამატებით მოწყობილია ავტოსადგომის კარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

შეცვლილია და დაუსრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა. დამატებით განთავსებულია შლაგბაუმი.

„ა-დ" ფასადის მხარეს, „ბ-ბ" ღერძთან დამატებით მოწყობილია საყრდენი კედელი, რომლის ნაწილიც ცდება საკადასტრო საზღვარს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ფორტის დეველოპმენტი"-ს, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №9-ში (საკ. კოდი №01.14.14.003.073) მდებარე მშენებლობადამთავრებული მეოთხე კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172472635-17 04.09.2017წ. და
№19/01172572081-17 14.09.2017წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **ვლადიმერ ყუშიტაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173053164**

თარიღი: **01.11.2017**

ადრესატი:
ბექა თეზელაშვილი
პირადი ნომერი: 01008025729
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის ნომ. 70, ბინა 7

ბატონო ბექა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/0117289659-17 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N9-ში (საკ. კოდი N01.14.14.003.073) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 28.09.2017წ. Nბ-19/01172472635-17 ბრძანებაში მითითებული დარღვევა - ,,ა-დ" ფასადის მხარეს, ,,ბ-ბ" ღერძთან დამატებით მოწყობილია საყრდენი კედელი, რომლის ნაწილიც ცდება საკადასტრო საზღვარს" გამოსწორებულია, კერძოდ დემონტირებულია კედლის ის ნაწილი, რომელიც ცდებოდა საკადასტრო საზღვარს. Nბ-19/01172472635-17 ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე